ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გელა ჩავლეშვილის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გელა ჩავლეშვილი, წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ ბოხვაურის მაჟორიტარული ოლქიდან. საკრებულომ ამირჩია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. ამავე დროს ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება_რესპუბლიკელების“ წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან(პირველი სხდომის ჩატარების თარიღი) ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 14 სხდომა და ერთი ერთობლივი სხდომა განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად.

სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად, კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, მათ შორის, 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე; 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე; 2015 წლის შესწორებული ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დაყენების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქცია ,,ქართული ოცნება_რესპუბლიკელების“ 4 სხდომასა და 2 ერთობლივ სხდომაში ფრაქცია ,,ძლიერი სოფელი“ და ფრაქცია ,,ჩვენი ოზურგეთი“-თან ერთად. ამ სხდომებზე განხილული იყო სულ 14 საკითხი.

2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 5-ჯერ მაქვს ჩატარებული შეხვედრა ამორჩევლებთან. მოქალაქეებთან შეხვედრებისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის გაზიფიცირების, გზების სარემონტო სამუშაოების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებსა და დასაქმების პრობლემებს.

აღნიშნული პრობლემატიკიდან აღსანიშნავია, რომ სოფელ ბოხვაურის სრული გაზიფიცირების საკითხი დასრულების ფაზაშია, ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და გზების რეაბილიტაციის საკითხი კვლავ აქტუალურია.

08.10 2015წ